№ 38

პარასკევი, 19 თებერვალი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 38

პარასკევი, 19 თებერვალი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარია

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

კნეინა ევგენია სოლომონის ასული ჯორჯაძისა შვილები-თურთ, გულითადის მწუხარებით აუწყებს-რა ნათესავთა და ნაც-ნობთ გარდაცვალებასა საყვარლისა მეუღლისა თვისისა

**თავ. დავით ვახტანგის ძის ჯორჯაძისა,**

სთხოვს მობრძანდნენ დღეს, 19 თებერვალს, დილის 10 საათ-ზედ, კუკიის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში, სადაც გარდახდილ იქ-მნება პანაშვიდი. იქიდგან მიცვალებულს წაასვენებენ კახეთს, სოფელს საბუეს და ორშაბათს, 22 თებერვალს, დაკრძალული იქ-მნება თავისს საგვარეულო სამარხში, წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში, ს. გრემს. (1—23—1)

Y. YERMOREL

constructeur Villefranche (Rhone) ვაზის შესასხურებელი მანქანა „ეკლერ" და გოგირ-დის შესაყრელი მანქანა „ტორ-პილი". (10—9)

**შაბიამანი**

*macclesfield*

ერთად-ერთი წარმომადგენელი მთელის რუსეთისა და კავკასიისა. მ. ფრიდონოვი. ტფილისში.

## გამგეობა

**ზნე-ხასიათის გამასწორებელ სამეურნეო-სახელოსნო ახალ-შენთა და თავ-შესაფართა კავ-კასიის საზოგადოებისა,** ამ საზო-გადოების წესდების მე-16 §-ის თა-ნახმად, აცხადებს, რომ შაბათს, 27 თებერვალს, შუადღის 12 საათ-ზედ, ტფილისის ოლქის სასამართ-ლოს სადგომში დანიშნულია საზო-გადოების წევრთა საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები:

1. საზოგადოების გამგეობის 1898 წლის მოქმედების ანგარიში.
2. საზოგადოების 1898 წ. ფუ-ლის ანგარიში.
3. სოფ. ზემო-ავჭალის ზნე-ხასი-ათის გამასწორებელ ახალშენის 1898 წლის ანგარიში.
4. 1899 წლის ხარჯთ აღრიცხვა.
5. სარევიზიო კომისიის მოხსენება 1898 წლის ანგარიშის და 1899 წ. ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.
6. ზემო-ავჭალის ახალ შენის დი-რექტორის თანამდებობაზედ კ. კ. ჰყონიას დამტკიცება.
7. იმის შესახებ, რომ ერთ-ერთს ახალ აგებულ ფარდულს ეწოდოს ს. ს. გონჩაროვის სახელი.

შენიშვნა: საზოგადო კრება კანონიერად იქმნება ჩათვლილი, თუ დაესწრო ოც წევრზედ არა ნაკლებ (საზოგადოების წესდების მე-17 § ის თანახმად). (3—უ.—2)

ნოტარიუსის

**ლევან მღებროვის კანტორა**

გახსნილ იქმნა ქალაქ ტფილისის პოლიციის მეოთხე განყოფილებაში, გურგენოვის სახლის ზემო სართულში- № 2, ერევნის მოედანზედ, თამამ-შოვის ქარვასლის პირდაპირ, განოვი-სა და სოლოლაკის ქუჩების კუთხეში, ტელეფონი № 620. (30—6.—15)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილი-სი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნე-ულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერ-ვებისა.

ზ. ა. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ სა-ათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. ბურკო. $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. ში-ნაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ-შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნე-რვების (ელექტროტერაპია), ვენე-ლიური და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროს-კოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწე-რის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფა-სოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისა-თვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტო-რი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ)

## ახალი ამბავი

*** 24 თებერვლისთვის დანიშნუ-ლია მორიგი კრება კავკასიის საიმ-პერატორო სამეურნეო საზოგადოე-ბისა. ამ კრებამ, სხვათა შორის, უნ-და განიხილოს ი. ა. საკოვის მოხ-სენება ამიერ კავკასიაში ერობის და-წესებულებათა შემოღების შესახებ. ხოლო 7 მარტისათვის დანიშნულია სა-ზოგადოების წევრთა საზოგადო წლი-ური კრება, რომელმაც უნ და აარჩიოს თანამდებობის კაცნი, სახელდობრ— საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, სა-ბჭოს წევრნი და საზოგადოების მდი-ვანი.

*** კავკასიის საიმპერატორო სა-მეურნეო საზოგადოების საბჭომ წელს თელავისა და სიღნაღის მაზრებში გამართა საწყობები, სადაც გაიყიდე-ბა შაბიამანი და გოგირდი. უკვე გაგზავ-ნილ იქმნა 10,000 ფუთი შაბიამანი და გოგირდი. სამწუხაროდ, წელს შაბია-მანი უფრო ძვირადა ჰღირს, ვიდრე წინად ღირდა: შარშან ფუთი 3 მან. 25 კაპ. იყო, წელს-კი 4 მან. 10 კაპეიკია.

*** სახელმწიფო ქონებათა გამგე-ობას რამდენმამე კაცმა მიჰმართა და სთხოვა, ქუთაისის გუბ. შორაპნის მაზრაში მოგვიზომეთ სახელმწიფო მი-წის ნაჭრები რკინისა და შავის ქვის მადნების დასამუშავებლადაო.

*** ქუთაისიდგან გვწერენ, რომ ორშაბათს, 15 თებერვალს, ქალაქის საბჭომ ვერ განიხილა დანიშნული საქმე ცხენის რკინის გზის შესახებ, რადგანაც რობიმ კიდევ წარადგინა და-მატებითი პირობები. საბჭოს კრება

## ფელეტონი

**წერილი „კვალის" ხელმძღვანე-ლის მიმართ.**

მოწყალეო ხელმწიფევ!

(დასასრული *)

ეს ბარათი უკვე დაწერილი იყო, როცა შემთხვევით თქვენის გაზეთის მე-4 №-რი (1899 წ.) წამაკითხეს. კიდევ სტუდენტის წერილი ბ-ნ ფა-ღავას აზრების გამო! ამ ნომერშიაც სტუდ. ელიავა თავისის წერილით ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს, რომ „სტუდენტობას ბ-ნ ფაღავას აზრი ისე აინტერესებს, როგორც შარშან-დელი თოვლი". ამისთანა კურიო-ზებზედ თქმულა ჰეშმარიტად—ფიცი მწამს, ბოლო კი მაკვირვებსო. ვერ გავიგეთ, საიდგანა აქვს ავტორს ამო-ღებული შემდეგი ვითომ ბ-ნ ფაღა-ვას მიერ ნათქვამი სიტყვები: „ამას (ე. ი. გელეიშვილს) დაევალა, მოე-ხდინა რამე ისეთი სკანდალი, რო-მელსაც ყიფიანის ადგილიდგან დათ-ხოვნა მოჰყვებოდა და... ამიტომ გაალახვია გელეიშვილმა თავიო". („კვ." № 4, 1899 წ.). თითონ ავ-ტორი-კი ამის შესახებ „დოგმატიუ-რად (?!) სდუმს" (ბ. ღევდარიანს ეკუთვნის). ნუ თუ ისევ ჰორებს მოუბრუნდით, მეცნიერებო? ჩვენ კი ეს სიტყვები არსად შეგვხვედრია. კარგი პოლემიკური და პუბლიცის-ტური ხერხია თქვენმა მზემ: სთხზავთ რაღაც „საზღაპრო ამბავს" და ბრჭყა-ლებში სვამთ, როგორც ვითომ-და მოპირდაპირის აზრს! მერე თქვენ თითონ გიკვირთ—„რა საოცარი და სა-ზღაპრო ამბავიაო!" რიხიანად გაიძა-ხით. ოღონდაც, ოღონდაც, ბ-ნო სტუდენტო! მაგრამ ისიც არა ნაკ-ლებ „საოცარი და საზღაპრო ამბა-ვია", რომ თქვენ, ამისთანა ხერხე-ბისა და წერილების ავტორი, ლექ-ციებს გვიკითხავთ ეთიკისა და ლო-გიკის შესახებ. თუ მე ვცდები (თუ მცა არა მგონია) და თქვენ-კი უმან-კო ხართ, ვითარცა მტრედი (არც ეს მგონია, რა თქმა უნდა), რა გა-გიჭირდათ—დაგესახელებინათ წყა-რო: ჩვენც შევამოწმებდით, რამდე-ნადაც წმინდა და ანკარაა თქვენი წყაროები, და დასკვნებსაც კრიტი-კულად განვიხილავდით. პირველ ხუთ სტრიქონს აკი მოუწერეთ ფრჩხილე-ბში: „იხ. საერთო წერილიო"; რა-ტომ დანარჩენს ოთხსაც არ მოუს-ვით გვერდით: „იხ. ესა და ეს წყა-როო". თორემ ეგ ხომ ჰერკულესის ბოძებია კიდეც, ბატონებო! ამას იქით წასვლა საპოლემიკო ხრიკების გზაზედ შეუძლებელია. მერე ვინ მი-ღწეულა ამ უმართებულობისა და ურიგობის უკიდურესს წერტილამ-დე?—სტუდენტი. ამას შემდეგ მოდი და ნუ მიაწერ სტუდენტს ანგელო-ზობას! ახლა-კი მესმის სწორედ, თუ რატომაც არის დამცირება, როცა ზნეობა-სპეტაკი სტუდენტობა ყურა-დღებას აქცევს ვიღაც „ქუთაისელი ციცერონის" სიტყვებს. ახლა-კი მჯერა ჰეშმარიტად, რომ „პარტიო-ბა" მიუდგომელობა-პირუთვნელო-ბას არასოდეს არ ედობება წინ.

ბ-ნს ელიავას ჰსურს დაამტკი-ცოს, რომ „ბ. ფაღავას მიერ ადვო-კატთა ეთიკის კანონების დარღვევა აშკარაა". კარგი და პატიოსანი. გავსინჯოთ მხოლოდ საბუთები და სიტყვა მივცეთ კიდეც პუბლი-ცისტს, რომ ყველაფერს დავი-ჯერებთ, თუ-კი დაგვიმტკიცა. ან-კი რატომ არ დავიჯერებთ? ბ-ნი ფაღა-ვა რა ჩვენი მამიდაშვილია?

სხვათა შორისო, გვაუწყებს ბ-ნი ელიავა, მან (ე. ი. ბ-ნმა ფაღავამ) ეს ეთიკა დაარღვიაო მაშინ, როდე-საც შემდეგი წარმოსთქვაო: „ქუთა-ისში შედგა ახალგაზრდათა ჯგუფი (უმრავლესობა სტუდენტებია), რო-მელიც სიტყვითა და საქმითაც დევ-ნიდა ბ-ნ ყიფიანს და მის მოღვაწე-ობას; ეს ჯგუფი არა ერთხელ შეკ-რებილა, რათა რაიმე ბ-ნ ყიფიანის საწინააღმდეგო ზომა მიეღო", რად-განაცო, გვამცნებს იგივე ბ-ნი ელი-ავა, ფოინიცკის თქმითო, ადვოკატ-მა მარტო ჰეშმარიტება უნდა ილა-პარაკოსო (რათ აწუხებდა იმ პატიო-სან კაცს: ამას ისედაც დავიჯერებ-დით?) და ეს-კი „ყველაფერი მტკნა-რი სიცრუეაო". მაშ „მტკნარი სი-ცრუეა", რომ „ქუთაისში შედგა ახალგაზრდათა ჯგუფი, რომელიც სი-ტყვითა და საქმითაც დევნიდა ბ-ნ ყიფიანს და მის მოღვაწეობას". მაგ-რამ საბუთი? საბუთი ჩვენ ვერსად ვერ ვიპოვნეთ. მართალია, ბ-ნი ელიავა ამბობს — ახალგაზრდობა კი არა სდევნიდა ყიფიანს, არამედ მხო-ლოდ საქმის გამორკვევას სცდილო-ბდაო, ერთის სიტყვით, სრულიად უზაკვო და პირუთვნელის ცნობის მოყვარეობის ინტერესებით ხელმძღ-ვანელობდაო (ფაქტი „ворвались" მაინც რატომ არ გაგახსენდათ, ბ-ნო ელიავა?), მაგრამ განა ეს საბუთია? ეს ხომ გარემოებაა, მხოლოდ სხვა სიტყვებით, იმავე კათეგორიულის: „ყველა დანარჩენი მტკნარი სიც-რუეაო". ამ ნაირად მეც, რასაც გინდათ, იმას დაგიმტკიცებთ.

ისიც, მაშასადამე, „მტკნარი სიც-რუეა", რომ „ეს ჯგუფი არა ერთ-ხელ შეკრეფილა, რათა რაიმე ბ-ნ ყიფიანის საწინააღმდეგო ზომა მიე-ღო".

საბუთი? ვერც ამის საბუთი ვიპო-ვნეთ, გარდა იმისა, რომ „დავარწ-მუნებ ყველას, ვისაც ახალგაზრდობა რწამს (?), მისი პატივისცემა და სი-ყვარული აქვს, რომ ყველა დანარ-ჩენი „მიზნები", რომელთაც ქუთაი-სის ციცერონი აწერს ამ „ჯგუფს", საკუთრივ მისი ფანტაზიის ნაყო-ფიაო". ახლაც არ გჯერათ, მკითხ-ველო? ნუ თუ „პატივის ცემისა და სიყვარულის" შემდეგ კიდევ რაღაც საბუთები გჭირიათ? ნუ თუ არ გე-ყოფათ საბუთად „რწმენა, პატივის ცემა და სიყვარული?" გეთანხმებით, მკითხველო—სკეპტიკოსო: მეც თქვე-ნთან ერთად სულითა და გულით პატივსა ვცემ და მიყვარს კიდეც ახალგაზრდობა, მაგრამ როცა აზრის დასაბუთებაზედ მიდგება საქმე (მე-რე იმისთანა აზრისა, რომელიც ადა-მიანის ზნეობას ძირითადად შეეხება), საბუთებსაც მოვთხოვ. ჩემის აზრით, სიყვარული სიყვარულად და საბუ-თი საბუთად. ანგელოზად არავინ, ახალგაზრდობაც არ მიმაჩნია, მით უმეტეს, რომ გამოდგება თითონ სტუდენტი და ყურში ჩაგჩიჩინებს: „იმ სტუდენტს, რომელიც დილიდ-გან საღამომდის ბილიარდისა და ბა-ნქოს თამაშით გატაცებულია, იმ სტუდენტს, რომელიც უმეტეს ნა-წილად ქეიფში ჰკარგავს დროს და მეორე დღეს იკვეხის,—გუშინ რა ზორბად ვიქეიფეო, იმ სტუდენტს,

*) იხ. „ივერია" № 37.

ჰქონდა სამშაბათს, 16 თებერვალს, პროექტი ინჟინერის მიხაილოვისა შეიწყნარა და პროექტი ბ. რობისა უარ-ჰყო 42 ხმის უმეტესობით წინაალმდეგ 3 ხმისა.

*** გუშინ, 18 თებერვალს, ქალაქის საბჭოს კრება არ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი ხმოსნებისა არ გამოცხადდა.

*** 14 თებერვალს, მეტეხის საპატიმროში აკურთხეს პატიმართათვის ახლად დაარსებული წიგნთ-საცავი. ამ დღეს საპატიმროს მღვდელმა მამა ოქროპირიძემ გადაიხადა პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ, როგორც საპატიმროს ზედამხედველი და იმის თანაშემწენი, აგრეთვე ყველა პატიმარი. პარაკლისის დროს მამა ოქროპირიძემ წარმოსთქვა სიტყვა და აუხსნა იქ მყოფთ წიგნთ-საცავის მნიშვნელობა. შემდეგ ერთმა პატიმართაგანმა განუმარტა თვისს ამხანაგებს ის, თუ რა სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს წიგნთ-საცავმა პატიმართ და გარდა ამისა ამხანაგების სახელით მადლობა გარდაუხადა საპყრობილეს ზედამხედველს წიგნთ-საცავის დაარსებისათვის. ამ ჟამად წიგნთ-საცავში 2,000-მდის წიგნია: რუსული, ქართული, სომხური და თათრული. ეს წიგნები უმეტეს ნაწილად შეწირულია სხვა და სხვა კაცებისაგან. კარგი იქნება ქართველმა საზოგადოებამ არ დაიშუროს და ორიოდე ქართული წიგნი კიდევ შესწიროს ამ წიგნთ-საცავს. პატიმართა უმრავლესობას ქართველები შეად გენენ, რომელთაც ქართული წიგნების კითხვა, ეჭვი არ არის, დიდს სარგებლობას მოუტანს.

უსასყიდლოდ მისდის წიგნთ-საცავს აგრეთვე ადგილობრივი რუსული და ზოგიერთი სომხური გაზეთიც. წიგნთ-საცავის მეთვალ ყურეობა და ზედამხედველობა, პატიმართა თხოვნით, იკისრა მამა ოქროპირიძემ. წიგნთ-საცავს საპატიმროს ზედამხედველმა დაუთმო ცალკე ოთახი, სადაც 30 კაცამდე მოთავსდება.

*** ტფილისის სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტმა უკვე შეიმუშავა და წარუდგინა მთავრობას პროექტი ტფილისში ნოქართა საზოგადოებისა და ამ საზოგადოებასთან საკომერციო კურსების დაარსების შესახებ.

*** ჩერნომორსკის ოლქის მცხოვრებმა ბ-მა დავიდოვმა გამოუგზავნა ქალაქის გამგეობას ნიმუში ასფალტისა, რომლითაც დაფენილია თურმე ბერლინისა, პარიჟისა და იტალიის ქუჩები. ამ ასფალტით დაფენილ ქუჩას თურმე 18 წლის განმავლობაში შეკეთება არ უნდა. ბ-ნი დავიდოვი სწერს გამგეობას, ამ ასფალტს ქუჩებისათვის 50 კაპ. მოგყიდით ფუთსა ტფილისში მოტანითაო. გამგეობის ანგარიშით, ქუჩის ერთის ოთხკ. საჟენის დაფენა ამ ასფალტით დაჯდება 8 მანეთი.

*** რადგანაც გორის მაზრის სოფლის საზოგადოებებზედ დარჩენილია ბევრი სასკოლო გარდასახადი, ტფილისის გუბერნიის მე-2 ნაწილის სახალხო სკოლების ინსპექტორმა შუამდგომლობა აღძრა სახალხო სკოლების დირექციის წინაშე იმის შესახებ, რომ დირექციამ განკარგულება მოახდინოს: 1, ერთის თვის განმავლობაში მოკრებილ იქნას ეს დარჩენილი გარდასახადი; 2, ამიერიდგან სკოლის გარდასახადი სოფლის საზოგადოებათა მიერ შეტანილ იქმნას წელიწადში ორჯელ, ყოველ ნახევარ წლის შემდეგ, და არა წელიწადში ერთხელ, წლის გასულს, როგორც აქნამდის იყო; 3, გორის მაზრის ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქციოს, რომ საზოგადოებათ ეს გარდასახადი თავის დროზედ გაისტუმრონ ხოლმე.

*** ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა ვარანცოვის ქუჩის ერთის ნაწილის შესაკეთებლად მნაცაკანის ხიდსა და დამოენის ქუჩის შუა, 1010 მანათიდგან, რომელიც საჭიროა ამ საქმისათვის, 250 მანათი გადაახდევინოს ტფილისის რკინის გზის საზოგადოებას, ამდენივე ადელხანოვს და 510 მანათი თვითქალაქმა იკისროსო.

*** „ტფილ. ფურ“, იუწყება რომ ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ბ-ნი გროზდოვი გადაჰყავთ სტავროპოლის გუბერნიაშიო.

*** როგორც გაზ. „კავკ.“-სი იუწყება, გორის მაზრის სოფლ. საკორინთლოსა, ქვემო-ჭალასა, იგოეთსა და სხვა ახლო-მახლო მდებარე სოფლებში მცხოვრებ თავად-აზნაურთ მიჰმართეს ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლს და სთხოვეს შუამდგომლობა აღძრას, რომ ის ხიდი, რომელიც განზრახულია სად. გრაკალთან გამართონ მტკვარზედ, ისეთი იყოს, როგორიც სოღანლუღის ხიდია ყარსის რკინის გზაზედ, რათა ამ ხიდზედ როგორც ქვეითებს, ისე ურმებსაც შეეძლოს გავლაო.

*** როგორც „კავკ.“-ს მიერ შეკრებილის ცნობებიდგანა სჩანს, სამხედრო საქართველოს გზა ამ კვირია არ გაიხსნება. ამ ბოლოს დროს გზაზედ დიდი თოვლი მოსულა და ზვავები ჩამოწოლილა. თოვლი 12 თებერვლიდგან მოდის თურმე. კობსა და გუდაურს შუა რამდენსამე ადგილას დიდი ზვავები ჩამოწოლილა. ერთს ზვავს ორი მუშა დაუტანია, მაგრამ 5 წუთის შემდეგ თოვლი გაუთხრიათ და ეს მუშები ცოცხალი ამოუყვანიათ. ამ ზვავებისა და საშინელის ქარ-ბუქის გამო ჯვარზედ მუშაობა და გზის გაწმენდა შეუძლებელი ხდება. გზა გაფუჭებულია გუდაუთსა და მლეთს შუა და კობსა და კავკავს შუა. კობში 35 მგზავრია, რომელნიც ვეღარც ტფილისისკენ წამოსულან და ვეღარც კავკავისაკენ. იქავეა რუსეთის ფოსტაც. მგზავრებისათვის კობში, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის განკარგულებით, წინდაწინვე დაუმზადებიათ სურსათი.

თოვლისა, ზღვავებისა და ქარბუქისაგან მარტო სამხედრო საქართველოს გზა არ არის გაფუჭებული. შეკრულია გზა აგრეთვე გუმბრსა და ალბულახს შუა: 16 თებერვალს გუმბრიდგან კარაკლისში გაგზავნილი ფოსტა უკანვე დაბრუნდა.

*** ფოთი. 14 თებერვალს, მკურნალის კ. ი. მიქაბერიძის მეთაურობით, საზღვაოსნო სკოლის შეგირდების მიერ გამგეობის დარბაზში გამართული იყო სალიტერატურო და სამუსიკო საღამო. საქველ-მოქმედო საღამომ, რომლის შემოსავალი გადადებული იყო ხსენებულ სასწავლებლის ღარიბ შეგირდების სასარგებლოდ, საზოგადოება ბლომად მიიზიდა. საღამოს პროგრამა თითქმის სულ რუსულ ლექსების კითხვით და სიმღერებისაგან შესდგებოდა. მოსწავლეთა გუნდმა კარგად შეასრულა რუსული სხვა-და-სხვა ეროვნული სიმღერები. თუმცა საღამოს პროგრამის შემსრულებელნი, გარდა სამი კაცისა, სულ რუსები იყვნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ სამმა ქართველმაც დაატყვეს თავისებური ელფერი ამ საღამოს. ერთმა მათგანმა მიქაძემ ორი ქართული ლექსი წაიკითხა.

*** ტფილისის ხელოსანთა უსტაბაშმა სერობაინცმა შეატყობინა ხელოსანთა ამქრების უსტაბაშებს, რომ ტფილისის საგუბერნიო მმართველობამ არ დაამტკიცა ხელოსანთა ყრილობის განაჩენი, 28 მაისს დადგენილი. იმის შესახებ, რომ ახალი გარდასახადები დაედოთ ხელოსანთ და შეგირდებისა. ამ უკანასკნელთ, განაჩენის ძალით, მოწმობის მიღებისათვის უნდა მიეცათ გარდასახადი. ეს დადგენილება გუბერნიის სამმართველოს უკანონოდ უცვნია. ამიტომ ბ-ნმა სერობაინცმა აცნობა ხელოსანთა უსტაბაშებს, შეგირდებს მოწმობის მიღებისათვის გარდასახადს ნუ გამოართმევთო და აგრეთვე ნუ მოსთხოვთ იმ გარდასახადებს, რომელნიც 28 მაისის განაჩენშია აღნიშნულიო.

*** ორდუბათის მაზრიდგან სწერენ გაზ. „მშაკს“, რომ სოფელ მეგრისის გლეხებს აზრადა აქვთ დააარსონ საზოგადო დუქანი. დუქანს დააარსებენ ამ ზაფხულს.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას გარდაეცა 1000 მანეთი ექსპონატების მოსამზადებლად. პარიჟის 1900 წლის მსოფლიო გამოფენისათვის.

*** ტფილისის ქალაქის იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქში ბაღების გაშენება, არ შეიწყნარა ბ-ნ მამინაიშვილის თხოვნა ალექსანდრეს ბაღში ელექტრონის სინათლისა და ფარდულის გამართვის შესახებ საჭმელებისა და სასმელების გასასყიდად.

---

**შეცდომის გასწორება.** „ივერიის“ მე-37 №-ში, ხილის უფასო სამკითხველოს „ანგარიშში“ შეცდომით დაბეჭდილი იყო: რომ „შემოსწირა ფულად სტ. ქ. ყიფიანმა 25 მანეთი“, უნდა იყოს „25 კაპეიკი“. გარდა ამისა შემომწირველთა შორის მოხსენებული არ არიან ი. მჭედლიშვილი და ს. ჯინჯოლოვი, რომელთაც შესწირეს წიგნთ-საცავს, პირველმა—1 მანეთი, ხოლო მეორემ—2 მან. მოხსენებული არ არის აგრეთვე ისიც, რომ თავ. ქაიხოსრო და ზაქარია ჯავახიშვილებისაგან დათმობილი ჰქონდა სამკითხველოს ერთი ოთახი, და როცა საჭირო იყო, ნავთსა და შეშასაც ისინი აძლევდნენ.

# რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუდგა შემუშავებას, და ამ ცოტა ხანში დაასრულებს კიდეც, ნორმალურ წესდებისას ისეთ საქველ-მოქმედო დაწესებულებათათვის, როგორიც არის, მაგალითად, თავ-შესაფარი უმ-

---

რომელიც განცხრომაში ატარებს დროს,—არ ვიცი რამდენად რჩება დრო, რომ მეცნიერების ტაძარში გულმოდგინეთ დაეწაფოს მეცნიერებას“ („კვ.“ № 3). ამოუდგებიან მას გვერდით: ბ-ნი საღარაძე თავისის წიგნით „ჩვენი ახალი თაობა“, ბ-ნი კ. აბაშიძე თავისის წერილებით ახალგაზდობის შესახებ „მოამბეში“, აქ შარშანდელი „კვალის“ წერილებიც გაგახსენდება კაცს იურიეველ სტუდენტების შესახებ, სარედაქციო შენიშვნები იმავე „კვალში“ ოდესელ სტუდენტებისა და ხსენებულის ბ-ნ საღარაძისა გამო, ბ-ნ ალ. სოლოღაშვილის პროტოკოლური მოთხრობები პეტერბურგელ სტუდენტების ცხოვრებიდგან („ივერიაში“), გაგახსენდება აგრეთვე ფაქტი „ворвались“ ბ-ნ ფალავას ინცინდენტის ისტორიიდგან (ბ-ნი ელიავა ამ ფაქტს ერთის სიტყვითაც არ იხსენიებს და გონიერადაც იქცევა: ის ქათამი იყო—თავისი დასაკლავი დანა რომ გამოჩხრიკა), დღეს გარჩეული ბ-ნ ელიავას ხრიკი (გამოგონილი სიტყვები და ბრჭყალები),—და ყველა ამას შემდეგ, მართალი მოგახსენოთ, გული არ მიშვრება, უსაბუთოდ დავუჯერო ვისმე. თითქო განგებ აქ კიდევ ვინმე ქუთაისელი მოვა და გეტყვის: თვითონ ბ. ელიავა იზურვალე მონაწილეობას იღებდა იმ „ახალგაზდათა ჯგუფის“ მოღვაწეობაში, რომლის არსებობასაც დღეს ასე უცნაურად უარ-ჰყოფსო, და ჩემი სკეპტიციზმი კიდევ უფრო ფრთას ისხამს, რასაკვირველია. რა ვქნა,

> წარვიდნენ დღენი სიყმაწვილისა,
> ლიტონი სიტყვა აღარა მჯერა,
> პოეტისა არ იყოს.

მაშასადამე, ჯერ-ჯერობით ვერავინ ვერ დაარღვია ის აზრი, რომ „ქუთაისში შედგა ახალგაზდათა ჯგუფი (უმრავლესობა სტუდენტობაა), რომელიც სიტყვითა და საქმითაც დევნიდა ბ. ყიფიანს და მის მოღვაწეობას“, ვერც ის, რომ „მოწმე სტუდენტებიც“ სწორედ ამ ჯგუფს ეკუთვნოდნენ. თუ კი ეს ყველაფერი ასე იყო *), რასაკვირველია, ბ-ნთ გელეიშვილისა და ყიფიანის საქმე მათი „საპარტიო“ საქმე იქნებოდა. ისინი დაინტერესებულნი იყვნენ ამ საქმეში. ამიტომაც „ამ საქმეში უფრო საყურადღებო“ იყო სხვა მოწმების ჩვენება, ვიდრე იმათი. ბ-ნი ფალავა ვალდებული იყო (ამას მოითხოვდა ელემენტარული „ადვოკატური ეთიკა“) გაებათილებინა მათი ჩვენება სხვა მოწმეების ჩვენებით, მით უმეტეს, რომ იმათ „სინამდვილეს მოკლებული მოწმობა იქვე საბუთით დაუმტკიცდათ“. ბ-ნი ფალავაც სწორედ ასე მოიქცა. სად არის აქ ვისიმე უპატიურება? ცხადია, ბ-ნს ფალავას არ მიუყენებია უპატიურება არათუ მთელის მოსწავლე ახალგაზდობისათვის (ეს ხომ ბ-ნ ჟორდანიას შემოქმედობითი ნიჭის ნაყოფია), არამედ მოწმე-სტუდენტის შესახებაც დაუმსახურებელი არა უთქვამს რა. მაშ რა უნდათ ამ დონ-კიხოტებს? მათ გამოგვიჭედეს ყურები აგერ სამი თვეა სრულად უდანაშაულო ადამიანის ლანძღვა გინებითა და შეუწყვეტელის ტიტინით? ჩვენ რას გვერჩით, მკითხველებს, ბ-ნნო პუბლიცისტებო? სხვა არა იყოსრა, ფულს გვახდევინებთ და უკეთესი საკითხავი მასალაც უნდა მოგვაწოდოთ.

ორიოდე სიტყვა ბრჩხილებში.

პირველში ამ ისტორიის შესახებ სრულიად არაფერს არ ვკითხულობდი: ვიცოდი, რას და როგორ სწერენ „კვალის“ პუბლიცისტები და წასაკითხად გული არ მიმდიოდა: პირადად კი ბ-ნ ფალავას არ ვიცნობდი, რომ მისი საქმე, ამ გარემოების მიუხედავად საინტერესოდ გამხდომოდა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს მომაბეზრა თავი ერთსა და იმავე ამბის დაუსრულებელმა ღეჭვამ. ვინ იცის, ეგებ რამე მართლადაც საყურადღებო იყოს მეთქი, ვიფიქრე. ისიც ცოტა არ იყოს მაკვირვებდა, რომ რაღაც ჰოტენტოტურს ობსკურანტობას სწამებდნენ იმისთანა კაცს, რომელსაც, როგორც გამეგონა, „კვალის“ ზოგიერთ პუბლიცისტების დაბადებამდინაც იმათზედ უკეთ ჰქონდა შეგნებული განათლებისა და საზოგადო პროგრესიულ აზრების მნიშვნელობა. ოვიდის მეტამორფოზებისა, მართლა მოგახსენოთ, არაფერი მწამდა და არც ახლა მწამს, და ისე კი რაღაც ფრანგულ ანდაზასავით გამოდიოდა (plus royaliste, que le roi). ამიტომაც გადავათვალიერე თავიდგან ნომრები და, წარმოიდგინეთ, იმისთანა ყოველის ქართულის მწერლობის მეგობრისათვის გულსატკენი საპოლემიკო და საპუბლიცისტო ხერხები აღმოვაჩინე (ზოგი მათგანი, ვიმედოვნებ, მკითხველისთვისაც თვალსაჩინოა ზემოთქმულის შემდეგ), რომ გულმა არ მომითმინა და უბრალო მკითხველმა კალამი ავიღე ხელში, ჩემის, მკითხველის, უკმაყოფილებისა და გაოცების გამოსათქმელად. მგონია, რომ ბ-ნნი პუბლიცისტები ვალდებულნი არიან მომისმინონ: თავისთვის ხომ არა სწერენ, დალოცვილები? ჩემი მკითხველური შთაბეჭდილება მათთვის ფრიად საინტერესო უნდა იყოს, ჩემი გონიერი მოთხოვნილებაც ყურად საღები და სახელმძღვანელოდ მისაჩნევი. აი, მოკლედ, ჩემი მოთხოვნილებაცა და შთაბეჭდილებაც.

პუბლიცისტიკამ **) ჭკუა კი არ უნდა გამომილაყოს, არამედ სასტიკსა და მკაფიო აზროვნობას უნდა მიმაჩვიოს, ზოგადის ფრაზებით კი არ უნდა გამტენოს და არც ის უნდა დამავიწყოს, რაც უკვე ვიცი, არამედ შეუწყვეტლივ თვალ-ყური უნდა მადევნებინოს განათლებულის კაცობრიობის ცხოვრების მსვლელობისათ-

*) ამ კითხვის შესახებ ბევრი საინტერესო ცნობები გადმომცეს ჩემმა ნაცნობებმა (მე თითონ ქუთაისში იმ დროს არ გახლდებივართ): რაღაც დაბეჭდილი ბლანკებიო, სხდომებიო, ფაქტი „ворвались“ და სხვა. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ „ეს ყველაფერი ასე იყო“. მაგრამ მე ბ-ნი ელიავა არა ვარ, რომელიც ვიღაც ნათლიდედისმიერ მოპარულ სიტყვებს ბრჭყალებში სვამს და „съ удивительно яснымъ лбомъ и легкимъ сердцемъ“ გაჰყვირის: „რა საოცარი და საზღაპრო ამბავიაო!“ მე ამ ცნობებს (თუმცა სრულიად სანდო კაცებისაგან მაქვს მიღებული) მაინცა და მაინც დიდს მნიშვნელობას არ ვაწერ ჯერ-ჯერობით, რადგანაც ფაქტიურად არ შემიმოწმებია. მე ვიხსენიებ, სხვათა შორის, ფრჩხილებში, და არც საბრალმდებლო ოქმს ვამყარებ იმათზედ.

**) საზოგადოდ ჟურნალ-გაზეთობას ვგულისხმობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



წელთათვის, სამოწყალეო სახლი და სხვა.

— მთავრობას აზრადა აქვს რუსეთის სხვა და სხვა ადგილას გამართოს საზეითალო აფთექები.

— საერო განათლების სამინისტრომ შეიმუშავა და ახლო მომავალში სახელმწიფო საბჭოში შეიტანს პროექტს რეალურ სასწავლებლების გადაკეთების შესახებ. აზრადა აქვთ ამ სასწავლებლებში სავალდებულო გაჰხადონ ინგლისურის ენის სწავლება.

— საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ებრაელთა სკოლებში ცვლილებანი იქმნას შემოღებული. აზრადა აქვთ, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, ამ სკოლებში სწავლა დამთავრებულთ სამხედრო ბეგარის გარდახდის დროს შეღავათი მიანიჭონ.

— იმავე გაზეთების სიტყვით, ამ ცოტა ხანში მუშაობას შეუდგება განსაკუთრებული კომისია. კომისიას მინდობილი აქვს იმ ღვინოების თვისებათა გამოკვლევა, რომელსაც რუსეთის იმპერიაში ამზადებენ; ეგრეთვე ის, თუ რამდენად სწამლავენ და აფუჭებენ ამ ღვინოებს და სხვა. კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ წარმომადგენელნი მიწად მოქმედების სამინისტროსი, საუფლისწულო უწყებისა, სამეურნეო საზოგადოებათა და სხვანი.

— „კავკას“-ს სწერენ პეტერბურგიდგან, რომ 19 თებერვალს შეუდგა მუშაობას განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს რუსეთში პურის ვაჭრობის საქმის გაწესრიგება.

— როგორც გაზეთები იუწყებიან, რუსეთის სოფლის მეურნეთა კრება მოხდება ამ წლის შემოდგომაზედ.

# უცხოეთი

**ოსმალეთი.** სმირნიდგან მოსულ ცნობებით, იქ, როგორც ქალაქში, ისე სოფლად, ბევრი კრიტიდგან გარდასხვეწილი მაჰმადიანი ყოფილა. ამ გარდასხვეწილთ არაფერი თურმე არ გააჩნიათ, თავი რომ ირჩინონ, და ამიტომ ძლიერ აწუხებენ ადგილობრივ მკვიდრთ მარცვაგლეჯით. ხშირ მოკლენას შეადგენს აგრეთვე კაცის კვლაც, რის გამო ძლიერ შეშინებულია სოფლის ხალხი. უცხო ქვეყნების კონსულების სიტყვით, ადგილობრივ მთავრობას იმდენი ძალა არ შესწევს, რომ ამ თავზედ ხელ აღებულ ხალხს ბრძოლა გაუწიოს, რის გამო დამნაშავენი დაუსჯელად რჩებიან, რომელთა თავხედობა დღითი-დღე მატულობს. უცხო ქვეყნის წარმომადგენლებსაც არ ერიდებიან კრიტელი მაჰმადიანები: მაგალითად, საფრანგეთის საკონსულოს აგენტის სახლი გაუტეხიათ სკალანდოში და სხვა-და-სხვა ნივთები წაუღიათ.

—

**სერბია.** როგორც ბელგრადიდგან ატყობინებენ ზოგიერთ გაზეთებს, სერბიის ახლანდელ მთავრობას სამსახურიდგან დაუთხოვნია მრავალი წარჩინებული სახელმწიფო მოღვაწე მხოლოდ იმისთვის, რომ ისინი რადიკალთა დასის მომხრენი არიან. დათხოვნილთა შორის არიან: მილოჩევიჩი, ფინანსთა სამინისტროს ერთ ერთი განყოფილების უფროსი, დოქტორი პაჩუ და მინისტრ პრეზიდენტად ნამყოფი სიმიჩი. ათინაში სერბიის წარმომადგენლად ეხლახან გამწესებული გიაიჩ გადაყენებულია სამსახურიდგან.

ასეთი საქციელი მთავრობისა ბევრს ძალიან დიდ შეცდომად მიაჩნია, მით უფრო, რომ ტახტის მადლიერი ვერ არის ეხლა ხალხი, და მთავრობის ასეთი სასტიკი ზომები უფრო მომეტებულს უკმაყოფილებას გამოიწვევს.

—

**მაკედონია.** თუ როგორი განხეთქილება სუფევს მაკედონიის სხვა-და-სხვა ერთა შორის, ამას თვალსაჩინოდ გვიმტკიცებს შემდეგი მაგალითი:

სერბებისა და ბოლგარების სკოლების მოსწავლეთ დიდი ჩხუბი გაუმართავთ ერთმანეთ შორის ფასტალადში (მაკედონიაშია), რომლის დროსაც ძლიერ ბევრი დაშავებულა და ბევრს სისხლიც სდენია. ჩხუბის ამტეხი ბოლგარელი მოსწავლეები ყოფილან, რომელნიც მივარდნიან სერბიელ მოსწავლეებს ასეთის უვირილით. „მაკედონია ჩვენ გვეკუთვნისო!“ სერბიელი მოსწავლეები მოდიოდნენ თურმე ამ დროს პროფესორ კუჩეტიჩის წინამძღოლობით, რომელიც შეტაკების დროს დაჭრილა. რამდენიმე სერბიელი პროფესორი დაუტუსაღებიათ, მაგრამ ისევ მალე გაუნთავისუფლებიათ, მაშინ როდესაც ბოლგარელების მხრივ ექვსი მოსწავლე და ერთი პროფესორი ღვთის-მეტყველებისა სამართალში მიუცემიან.

## თეატრის მატიანე

ქუთაისი.

(ბენეფისი ვ. ს. ალექსი-მესხიშვილისა)

„კარდინალ რიშელიე“ დრამა, თარგმ. ვლ. ს. მესხიშვილის მიერ.

კვირას, 14 თებერვალს, ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის საბენეფისოდ, წარმოადგინეს პირველად ხუთ-მოქმედებიანი დრამა „კარდინალ რიშელიე“, ნათარგმნი თვით მობენეფისეს მიერ. ამ დრამაში საუცხოვოდ არის დასურათხატებული საფრანგეთის ცხოვრების ის ხანა, როცა კარდინალ რიშელიე იყო მთელის საფრანგეთის მმართველი დ გამგე. რიშელიე დასაბუთებულია, როგორც დიდის ჭკუის, გამოცდილების, გამბედაობის და გამჭრიახობის პატრონი. მისის ღრმა გონებისათვის მიუწდომელი არაფერი რჩება. ვერავითარი წინააღმდეგობა, ვერავითარი ფარული და აშკარა შეთქმულობა ვერ აშინებს რიშელიეს; ის ყოველთვის გამარჯვებული გამოდის ბრძოლიდგან. თვით მეფე ლიუდოვიკ მე-XIII ქედს იდრეკს რიშელიეს ღრმა ჭკუისა და მოხერხების წინაშე. მეფის მთელი სასახლე სასტიკ ბრძოლას უცხადებს რიშელიეს, უნდა იგი ბუმბერაზი განდევნოს სამშობლოდან, აღგავოს მისი ხსენება, მაგრამ რიშელიე, გამსჭვალული სამშობლოს სიყვარულით და შემკული იშვიათის ნიჭით, გამარჯვებული გამოდის ბრძოლიდან მაშინაც-კი, როცა ყველა დარწმუნებულია, რომ მოხუცებული და დასუსტებული რიშელიე სამუდამოდ დაღუპულიაო. ერთის სიტყვით, ამ საკვირველის ადამიანის სულისა და გონების ძლიერებას საზღვარი არააქვს.

ამისთანა როლის შესრულება, ცხადია, მეტის-მეტად ძნელია: ამას მხოლოდ ისეთი დიდი ნიჭის პატრონი მსახიობი დასძლევს, როგორიც არის ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი. ჩვენ არ გვახსოვს, რომ ბ-ნ ალექსი-მესხიშვილს, როდისმე ეღალატოს ნაკისრ როლისათვის და დიდი სიამოვნება და თანაგრძნობა არ გამოეწვიოს მაყურებლებში, მაგრამ რიშელიეს როლის ასრულების დროს იგი აღემატა ჩვენს მოლოდინს: როგორც გარეგნობით, ისე თვით თამაშობით მობენეფისე ამ საღამოს მეტად კარგი და საუცხოვო იყო. დანარჩენ მსახიობთა სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ ისინიც ხელს უწყობდენ მობენეფისეს და ამის გამო წარმოდგენამ საზოგადოთ ჩინებულად ჩაიარა. ამიტომაც საზოგადოებამ დიდად დააჯილდოვა უსაყვარლესი მსახიობი. ამ დღეს თეატრი ისე იყო ხალხით სავსე, რომ ნემსი არსად ჩავარდებოდა. აიხადა თუ არა ფარდა, ზევიდან ჩამოცვივდა მობენეფისეს ფოტოგრაფიული პატარ-პატარა სურათები, რომელთაც საზოგადოება, მეტადრე ქალები, დიდის სიამოვნებით ჰკრეფდენ დ ინახავდენ. მობენეფისეს სცენაზედ გამოსვლას საზოგადოება აღტაცებულის ტაშის კვრით და ვაშას ძახილით მიეგება. მეოთხე მოქმების შემდეგ სცენაზე შეიკრიბა მსახიობთა მთელი დასი და აქ ერთმა მათგანმა, ბ-ნმა ქუჯმა, წაიკითხა ადრესი, რომელშიაც ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი დასურათებული იყო როგორც დასის საუკეთესო მმართველი, მოსიყვარულე ამხანაგი, დასის დაუღალავი პატრონი და სულის ჩამდგმელი და ამხანაგების ჭირისა და ლხინის თანამოზიარე. ბ-ნი ქუჯი დასის სახელით ულრმესს პატივისცემას და მადლობას უცხადებდა ბ-ნ მესხიშვილს. არც საზოგადოება მოეკიდა გულ-გრილად საყვარელს მსახიობს: მრავალი საჩუქარი მიართვა, აღტაცებულ ტაშის კვრას და სცენაზე გამოწვევას ხომ საზღვარი არა ჰქონდა; ერთის სიტყვით, ეს წარმოდგენა ნამდვილი დღესასწაული იყო როგორც საზოგადოებისათვის, ისე მობენეფისესათვის.

შემდეგი წარმოდგენა გაიმართება მომავალ შაბათს და შემდეგ რამდენისამე ხნით დასი გაემგზავრება ბათუმისაკენ.

მაყურებელი

## დამაკვირდი

მხნე იყვენით და განძლიერდით, რამეთუ ღმერთი ჩვენი კერძო არს.

ვახტანგ გორგასალ

* * *

ზეცისა-მიერ არს ყოველი მოცემა.

ნინოწმ. იოსებ ვაჩნაძე

* * *

უკეთუ გქონდეს ხმა საფიროხნისა, ენა ბულბულისა და გალობა შროშანისა, მაშინცა ღირსეულად ვერ დაგადეტკბობ შენ!

ლევან შანავაზის ძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გაზეთებში დაბეჭდილია მეტად საყურადღებო ცნობები ლიჰტენშტეინის სამთავროს შესახებ. ამ სამთავრომ წელს უნდა იდღესასწაულოს 200 წლის იუბილეი თვისის არსებობისა. მონაკოს შემდეგ ეს სამთავრო ყველაზედ პატარა სახელმწიფოა მთელს ევროპაში. მდებარეობს შვეიცარიასა და ავსტრიას შუა და შესდგება კადუცისა და შელენბურგის პროვინციებისაგან. სატახტო ქალაქი ამ სახელმწიფოსი კადუციაა, რომელშიაც სცხოვრობს სულ $9^1/_2$ ათასი სული. იუბილეის გამო გერმანულ გაზეთებში იბე-

---

ვის, არც სამეცნიერო და საფილოსოფიო აზრის მიმდინარეობას უნდა ჩამომარჩინოს, უნდა ამიხსნას ყოველი მთავარი გარემოცულს ცხოვრებაში მომხდარი ცვლილება და შეძლებისამებრ მომავალიც გამინათოს. დასასრულ, ზნეობა კი არ უნდა შემირყიოს, არამედ გამისპეტაკოს და გამიფაქიზოს. ყველა ამის ასასრულებლად, საჭიროა ჭკუა, განვითარება, ერუდიცია (კაჭკაჭისებურად სხვის ფრაზების განმეორება როდი კმარა?), „სპეციფიკური“ ნიჭი. მოუმზადებელმა ადამიანმა ჟურნალისტიკაში ცხვირი არც კი უნდა გამოჰყოს. წინააღმდეგს შემთხვევაში ის დაამტკიცებს უკიდურესს უპატივცემულობას მწერლობისა და მკითხველის მიმართ. აი, სწორედ ამისთანა უპატივცემულობა, მორიდებულობა-თავმდაბლობის ნაცვლად, უმეცრების ამაყობა შევამჩნიე ჩვენს ახალგაზდა პუბლიცისტებს (ამ ჟამად მხოლოდ იმათ ვეხები). მათი პუბლიცისტიკა ისეთის საეჭვო ღირსებისა აღმოჩნდა, რომ არ ვიცი სწორედ, რა ვიკითხო. საოცარი სოფიზმები ძლიერის ლოღიკის მაგიერ, გიმნაზისტური ზოგადი ფრაზები ერუდიციის ნაცვლად, ცილის წამება ზნეობრივის სიფაქიზისა და კეთილშობილობის მაგიერ ვერაფერი წამახალისებელი ნიშნებია, თუ თქვენც იტყვით. თითქო ერთი წიგნიც არ წაეკითხოთ ამ კაცებს. ნუ თუ მართლა „ბილიარდისა და ბანქოს თამაშის“ მეტს არას აკეთებენ? არ მინდა დავიჯერო, მაგრამ ფაქტს რა ვუყო. გაგონილა ამისთანა გონებრივი სილატაკე? აგერ ერთს წელიწადზე მეტია, რაც „კვალი“ ახალის რედაქციის ხელში გადავიდა, და ნეტავი ერთი მაინც იმისთანა ჭკუიანი და მეცნიერულად დასაბუთებული წერილი დაებეჭდათ, რომ პატიოსანს კაცს სასარგებლოდ დარჩენოდა მისი წაკითხვა.

საცოდავია, ჭეშმარიტად, საცოდავი, „კვალის“ მკითხველი, რომელიც მოკლებულია საშუალებას უცხოეთის ჟურნალ-გაზეთობასაც თვალ-ყური ადევნოს. საგონებელია, რომ იმასავით ჩამორჩენილი მეცნიერება-მწერლობისა და ცხოვრების მიმდინარეობის გათვალისწინების მხრივ, იმასავით ზოგადის ფრაზებით ჭკუა-გამოლაყებული ეგზემპლიარი ავსტრალიის კუნძულებზედაც არავინ მოიძებნება.

ჩვენის მწერლობის აწინდელ მდგომარეობის გამოკვლევა, — რთული საგანია. მივანდოთ ეს პუბლიცისტებს. ჩვენ კი ისევ ბ-ნს ელიავას დავუბრუნდეთ უკანასკნელად.

ბ-ნი სტუდენტი გვიმტკიცებს — ბ-ნი მეფისაშვილი მორიგებას ურჩევდა გელეიშვილსო (ბ. ჯაყელს არ ვიცი რატომ მოაკლო თავისი მფარველობა). მჯერა, მაგრამ საბუთი არ მომწონს. ამისთანა საბუთებითაც მეც ბევრს რასმეს დავუმტკიცებ ბ-ნს ელიავას. მაგალითად, ის ამბობს — ბ-ნმა ფაღავამ ყიფიანის ათვალწუნება ახალგაზდობისაგან მარტო რაღაც „მეთოდს“ მიაწერაო. თითქო სხვა მიზეზებს სრულიადაც არ ჰქონდეს ადგილიო! ამის პასუხად ვიტყვი და თქვენზედ უფრო საფუძვლიანადაც ვიტყვი: სცდებით, ბატონო ჩემო! ბ-ნს ფაღავას მარტო რაღაც „მეთოდით“ არაფერი არ აუხსნია. „ამას ყველა იქ დამსწრე იტყვის“. წაბრძანდით და მოუყარე თავი ყველა იქ დამსწრეთ. ბრალდებასთან ერთად უთუოდ დამსწრეთა ჩვენებაც უნდა მოგეწოდებინათ როგორც ერთად-ერთი შესაძლებელი საბუთი. ამას მოითხოვდა ეთიკაცა და ლოგიკაც. თორემ რომის პაპი ხომ არა ხართ მართლა, თქვე დალოცვილო, რომ ყველაფერში უსაბუთოდ გენდოთ. „საბუთები კმარაო“, თავ-მომწონედ გაიძახის ბ-ნი ელიავა. ოო, რასაკვირველია, კმარა!

ამის შემდეგ ბ-ნი ელიავა არჩევს დაწვრილებით და დიდის გულ-მოდგინებით ბ-ნ ფაღავას აზრს „პარტიობისა“ და მართლ-მოქმედების ურთიერთობის შესახებ. სარგებლობს იმ ლოგიკურის ხერხით, რომელსაც reductio ad absurdum ჰქვიან, და მართლადაც აბსურდი გამოჰყავს, მაგრამ ბ-ნის ფაღავას აზრი-კი არა, არამედ თავისი, საკუთარი. შეცდომა ისაა, რომ ავტორს ჰგონია, ვითომ ბ-ნ ფაღავას სიტყვა „პარტია“ იმ აზრითვე წარმოეთქვას, რა აზრითაც ამბობენ, როდესაც უნდა აღნიშნონ მაგ., გერმანიის სოციალ-დემოკრატია, საფრანგეთის რადიკალები, ან ინგლისის „ტორი“ და „ვიგი“. საგონებელია, რომ ბ-ნ ფაღავას თქვენზედ უკეთ აქვს წარმოდგენილი სამწუხარო განსხვავება. არც განათლება განვითარებას აფასებს ალბად თქვენზე ნაკლებად. როგორ გეკადრებათ, ბატონო ჩემო, ამისთანა ფუჭი შრომა: „ученаго учить нечего?“ განათლება განვითარება — პროგრესსიაო. ეს იმისთანა ტრუიზმია, ბ-ნო სტუდენტო, რომელიც დღეს ძუძუ-მწოვარა ბავშვმაც იცის. რად მოსცდით ამისთვის? რა გულმა ჩაგადენინათ, ამისთანა ტრუიზმების უცოდნელობა რომ დასწამეთ იმ კაცს? როცა ასეთი აბსურდი გამოგივიდათ, უნდა მიმხვდარიყავით, რომ თქვენს სილლოგიზმებში ლოგიკა-კი არ არის, არამედ საოცარი სოფისტიკა (ნებსითი თუ უნებლიეთი, ეს ღმერთმა იცის). უნდა შეჩერებულიყავით და წაგეშალათ დაწერილი. თქვენკი?... ეჰ, მართლაც რომ „ვინ დაგიდევს ჩვენში ან ლოღ(?)იკას და ან პ(?)სიხოლოგიას“!

ამ მუხლის შესახებ კიდევ ბევრი რამ საფუძვლიანი ითქმის, მაგრამ, ფილოსოფოსისა არ იყოს, „не вѣжливо и не умно отнимать у противника возможность легкихъ возраженій“ (Ницше). გარდა ამისა, წერილიც ცოტა არ იყოს გამიჭიანურდა. არ ვაპირებდი-კი პუბლიცისტობას!

—

უკაცრავად თქვენთან, ბ-ნო „კვალის“ ხელმძღვანელო, რომ სათქვენოდ დანიშნულს წერილში ბ-ნ ელიავას ამდენი ალაგი დავუთმე. მაგრამ, აკი მოგახსენეთ, დიდი პატივისცემა მაქვს ახალგაზდობისა-მეთქი და როგორ შემეძლო დიდი ყურადღებაც არ მიმექცია იმათის სიტყვებისათვის? ამისათვის ნუ შემრისხავთ. მეორეც ესა — გაზეთის ხელმძღვანელი პირდაპირი პასუხის-მგებელია თავისის თანამშრომლების ნაწერებისა. მაშასადამე, რძალო, შენ გეუბნები და, მულო, შენ გაიგონე.

თქვენგან იმედ-გაცრუებული მკითხველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭდება სხვა-და-სხვა ცნობები ამ სახელმწიფოს შესახებ. ამ ცნობათა შორის ყველაზედ უფრო საყურადღებოა ის ცნობები, რომლებიც შეეხება ლიჰტენშტეინის მცხოვრებთა და იმათი მთავრის საურთიერთო დამოკიდებულებას. 1816 წელს ქალაქ კადუცის მცხოვრებლებმა გაჰგზავნეს დეპუტაცია თავიანთ მთავართან იოჰან 1-თან და გამოუცხადეს, ჩვენ იმისი წინააღმდეგნი არა ვართ, რომ განაგოთ ჩვენის სამთავროს საქმეები, მაგრამ ამ მმართველობისთვის ჩვენის ჯიბიდგან ფულს ვერ მოგცემთ, რადგანაც თქვენ საკმაოდ მდიდარი ბრძანდებითო. გარდა ამისა არა გვსურს ყოველ წელიწადს ჯარში გაიყვანოთ ხოლმე 50 ჯარის კაცი და ერთი მედალაბანდე. ეს ჯარის კაცნი მთავარს უნდა წარედგინა ხოლმე გერმანიის კავშირისათვის, რომელსაც ეს სამთავრო ეკუთვნოდა. ლიჰტენშტეინელები იმ აზრისანი იყვნენ, რომ 50 ჯარის კაცისა და ერთის მედალაბანდის გაგზავნა ყოველ წელიწადს უსარგებლო ხარჯვაა ფულისა და ის კაცები, რომელიც ჯარში გაჰყავთ, უფრო სასარგებლონი იქმნებიან სამთავროსთვის, სახლში რომ დარჩნენო.

მთავარი იოჰანი მართლაც მდიდარიც იყო და ამასთანავე კარგი და გონიერი კაციც. მთავარი დაეთანხმა თავისს ქვეშევრდომებს და უთხრა, დიახაც საჭირო არ არის, რომ ფული მაძლიოთ და თანახმა ვარ სამთავროს საქმენი უჯამაგიროდ განვაგოო. რაც შეეხება 50 ჯარის კაცსა და ერთს მედალაბანდეს, ამაშიაც დაეთანხმა მთავარი დეპუტაციას და განაცხადა,—ამ 50 კაცს სხვაგან სადმე ვიშოვი ჯამაგირითაო და წარუდგენ გერმანიის ჯარსაო. ამ გვარად მორიგნენ მთავარი და ქვეშევრდომნი. ხალხი არ იხდიდა გარდასახადს. არც ერთს გროშს არა ჰხარჯავდა არც მთავრის სასახლეზე და არც ჯარის შენახვაზე და მშვიდობით სცხოვრობდა თავისთვის. 1836 წელს გარდაიცვალა მთავარი იოჰანი და ტახტზე ავიდა იმისი შვილი ალოიზი. კადუცში რომ მობძანდა ახალი მთავარი, ხალხი აღტაცებით დაუხვდა. ქალაქი მორთული იყო და გაჩირაღდნებული. ქალაქის მმართველთ მთავრის დახვედრისათვის ფული გადასდეს, მაგრამ მერე შეიკრიბნენ და გადასწყვიტეს, თუმცა მთავარს ჯამაგირს არ ვაძლევთ, მაგრამ იმისი აქ ყოფნა ძვირად გვიჯდება. ფულსა და დროს ვკარგავთ ხოლმე იმის დახვედრაზე და ეს საზარალო არის სახელმწიფოსთვისაო. ყოველივე ეს უნდა მოვახსენოთ მთავარსაო,—გადასწყვიტეს. მთავარი მდიდარია და სახელმწიფოს მმართვა სასიამოვნოდ უნდა მიაჩნდესო.

კვლავ გაჰგზავნეს მთავართან დეპუტაცია, რომელმაც დაუმტკიცა, რომ თუმცა ჯამაგირს არ გაძლევთ, მაგრამ მაინც ძვირად გვიჯდებიო. მთავარი დასთანხმდა, ყოველ წელიწადს პირ-იქით მე მოგცემთ ფულსა იმისათვის, რომ სახელმწიფოს მთავრად მითვლებიო. ბოლოს დაადგინეს, რამდენი უნდა გადიხადოს მთავარმა ფული სამთავროს სასარგებლოდ და მართლაც ყოველს წელიწადს იხდიდა გადაჭრილს ფულსა. ამ გვარად ამ პაწია სახელმწიფოში დაარსდა ისეთი წესი, რომელიც მთელის დედამიწის ზურგზედ არც ერთს სახელმწიფოში არცა ყოფილა და არც არის. იმის მაგივრად, რომ მთავრობას ფულს აძლევდნენ, ლიჰტენშტეინელებს არა თუ არაფერი ეხარჯებათ მთავრობაზე, პირ-იქით ფულსაც ართმევენ. მაგრამ ლიჰტენშტეინელები არც ამით დაკმაყოფილდნენ. ალოიზის შვილს მთავარს იოჰან მეორეს მოსწყინდა კადუცში ყოფნა და გადასახლდა ვენაში, სადაც მშვენიერი სასახლე ჰქონდა. მთავრის ქვეშევრდომნი სრულიად არ იყვნენ ამ გადასახლების წინააღმდეგნი, რადგანაც მთავრის მოადგილედ კადუცში მინისტრი დარჩა, მაგრამ ერთხელ ვენაში მთავართან მივიდა დეპუტაცია და მოახსენა, ვინაიდგან თქვენ მუდამ ვენაში სცხოვრობთ და აქ დიდს ფულსა ხარჯავთ უცხო სახელმწიფოში, კადუცი ზარალობს და ამიტომ გთხოვთ წელიწადში რამდენიმე თვე კადუცში იცხოვროთ, რომ იქაც დახარჯოთ ფული, რომელიც ჩვენს სახელმწიფოში დატრიალდება და სარგებლობას მოგვცემსო. გარდა ამისა, რადგანაც ... ბრძანდებით თქვენს სახელმწიფოში, გთხოვთ კონსტიტუცია მოგვანიჭოთო. „ეს ისეთი მცირე თხოვნაა, რომ იმედი გვაქვს უარს არ გვეტყვითო“, დასძინა დეპუტაციამ.

მთავარმაც უარი არ უთხრა და მიანიჭა სახელმწიფოს კონსტიტუცია, რომლის ძალითაც ხალხს უფლება აქვს აირჩიოს ლანდტაგი, რომელიც 15 დეპუტატისაგან შესდგება. ეხლა ამ სახელმწიფოს ლანდტაგი განაგებს, რომელსაც ყოველივე უფლება აქვს მინიჭებული, კანონ-მდებლობაც კი იმის ხელშია. ამ თხუთმეტ დეპუტატსაც-კი ჯამაგირს მთავარი თავისის ჯიბიდგან აძლევს თურმე.

## გამოსადეგი ცნობა

ხეხილს ერთნაირი სენი აჩნდება ხოლმე, რომლის გამოც ფოთოლი სცვივა და ხილს არ ისხამს. ამისი წამალი, რომელიც უცდია ერთს მეცნიერს სახელად მეგერს და რომელიც უებარი თურმეა, ასე უნდა მომზადდეს: აიღეთ ორ გირვანქა ნახევარი სპილენძის შაბიამანი (МѢДНЫЙ КУПОРОСЪ), ხუთი გირვანქა წყალ-დაუსხმელი კირი და რვა ვედრა წყალში გახსენით. როცა ხეხილი ყვავილიდამ გამოვა, მას მერმედ თოთხმეტი დღე უნდა გავიდეს და მაშინ შეასხით ეს წამალი ხეხილს, ისე როგორც ვაზს შეასხმენ ხოლმე. თუ კარგად უწამლეთ, ესე იგი, კარგად და საკმარისად შეასხით, ხეხილი მშვენივრად კეთდება და ხილიც ბლომად შერჩება მოწევამდე. გვირჩევენ ვაშლს, მსხალს და სხვას ამისთანას ერთი ორჯერ კიდევ ასე რომ ვუწამლოთ მკათათვის დამლევს, ან აგვისტოს პირველ რიცხვებში, უფრო უკეთესი იქნებაო.

# დეპეშა

17 თებერვალი

**ხარკოვი.** დღეს, ნაშუადღევის პირველ საათზე, ცეცხლი წაეკიდა სააქციონერო საზოგადოების წისქვილს. ფქვილის საწყობები და კანტორა გადარჩა. წისქვილის სახურავის ერთი ნაწილი მოირღვა. მოკლულ იქმნა ერთი მოსამსახურე; ცეცხლის მქრობელის რაზმის ორი კაცი დაშავდა. დაშავებულნი არიან აგრეთვე პოლიცმეისტერი და იმისი თანაშემწე. წისქვილის შენობა დაიქცა. წისქვილი დაზღვეული იყო 300 ათას მანათად. ჯერ არ იციან არც ზარალის რაოდენობა, არც ცეცხლის გაჩენის მიზეზი.

**რომი.** გუშინ, პაპი ლეო XIII ავად შეიქმნა. დღეს დილით პაპი ამბობდა, გვერდი მტკივაო. მკურნალმა ლაპონიმ გასინჯა პაპი და სთქვა, ციება აქვსო.

**ბერლინი.** რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიას ბიულოვმა აუწყა, რომ ტიანძინში გერმანიის ქვეშევრდომებზე თავ-დასხმის გამო მივწერე ჩვენს ელჩს პეკინში, შეატყობინოს ჩინეთის მთავრობას, რომ თუ დამნაშავენი დასჯილნი არ იქმნებიან, ან ასეთი ამბავი კიდევ მოხდება—ამას ცუდი შედეგი მოჰყვებაო.

**მადრიდი.** სენატმა სამის ხმის უმეტესობით არ შეიწყნარა ოპოზიციის პროექტი ფილიპინების დათმოშვების შესახებ.

**რომი.** დღეს მკურნალის ლაპონის გარდა პაპი გასინჯა მკურნალმა მაცონიმ. ამტკიცებენ, რომ პაპის საშიში არაფერი აქვსო.

**რომი.** „სტეფანის სააგენტო“ იუწყება, რომ კრიტის კუნძულზე წესიერების დასამყარებლად საფრანგეთისა, რუსეთისა და ინგლისის კაბინეტებს მოლაპარაკება ექმნებათ კონევაროსთან რომში და დაარსებულ იქმნება კონევაროს თავმჯდომარეობით კომიტეტი კრიტის საქმეთათვის.

**პარიჟი.** ლილლი იცავს პროექტს, რომლის ძალითაც საქმეთა ხელმეორედ განხილვა უნდა ჩამოერთვას საკასაციო სასამართლოს პალატას. ორატორი ამბობს, მიკვირს, რომ ჯარსა ჰკიცხავენო და იხსენიებს გენერალის როჟეს მოქმედებას.

**მარსელი.** მადაგასკარის დედოფლად ნამყოფი რონევალო თავისის ამალით აქ მობძანდა. დედოფალს დაასახლებენ ალჟირის მახლობლად. მთავრობამ მისცა დედოფალს მშვენიერი სასახლე და პენსიად დაუნიშნა 24,000 ფრანკი.

**პარიჟი.** სენატი. მონისი წინააღმდეგია პროექტისა. ლებრე სთხოვს სენატს, შეიწყნარეთ პროექტიო. მთავრობა ისე მოიქცევა, როგორც სინიდისი მოითხოვს. მთავრობას სწადიან მხოლოდ სრული სიმართლე გამოირკვეს. რა-კი ერთხელ გადაწყდა, რომ საქმე ხელმეორედ უნდა განიხილონ, ეხლა გვიან-ღაა უკან დაწევისა. საჭიროა, რომ განხილულ იქმნეს ხელ-ახლად დოსიეო. დასასრულ ლებრე ამბობს: „მთავრობა დარწმუნებულია, რომ პროექტის შეწყნარებას თან მოჰყვება მშვიდობიანობა“ (ტაშის ცემა).

**რომი.** ოპერაციის შემდეგ პაპი კარგად შეიქმნა, აღარ აციებს. ექიმებს სრული იმედი აქვთ პაპის მორჩენისა.

**მადრიდი.** საგასტამ დედოფალს თხოვნა მიართვა კაბინეტის სამსახურიდგან გადადგომის შესახებ.

**პარიჟი.** გამომძიებლის ფაბრის ბრძანებისამებრ გაუჩხრიკეს სახლები „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა ლიგისა“, „საფრანგეთის მამულის ლიგისა“, „ერის დაცვის ლიგის“ პრეზიდენტებს, მდივნებს და ხაზინადრებს, აგრეთვე სენის დეპარტამენტის საპლებისციტო კომიტეტების თავმჯდომარეებს. და პატიმრებულია ბევრი ქაღალდები.

**ვაშინგტონი.** გერმანიის მთავრობის სურვილის თანახმად, მაკ-კინლეიმ დაავალა შეერთებულის შტატების ჯარსა და ფლოტს ფილიპის კუნძულებზედ მცხოვრებ გერმანელ ქვეშევრდომთა სიცოცხლისა და ქონების დაცვა.

**პარიჟი.** გამომძიებელმა ფაბრმა, რომელსაც დაევალა გასინჯვა დაპატიმრებულ ქაღალდებისა, კვლავ ბრძანება გასცა, 16 კაცს გაუჩხრიკეთ სახლებიო. ყველგან იპოვნეს ქაღალდები, მაგრამ ასე ამბობენ, რომ დიდი მნიშვნელობა არა აქვთო. გარდა იმ ქაღალდებისა, რომელიც უპოვნეს საპლებისციტო კომიტეტის თავმჯდომარესა და პრინცის ვიქტორ ნაპოლეონ უმახლობელესს წარმომადგენელს ბარონ ჟიულ ლეგუს.

17 თებერვალი

**პეტერბურგი.** 17 თებერვალს დედოფალმა იმპერატრიცამ ინახულა ორდენის წმ. ეკატერინეს სასწავლებელი.

17 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორმა ინახულა ნიკოლოოზის საინჟინერო აკადემია და სასწავლებელი.

**პარიჟი.** სამუნიციპალო საბჭოს პრეზიდენტად არჩეულ იქმნა სოციალისტი ლიუსიგია.

სენატში განახლებულ იქმნა კამათი იმ პროექტის შესახებ, რომლის ძალითაც პროცესების გადასინჯვის საქმე უნდა ჩამოერთვას საკასაციო სასამართლოს სისხლის პალატას. სენატმა პირველი პარაგრაფი შეიწყნარა 158 ხმის უმეტესობით 118 წინააღმდეგ.

**მადრიდი.** საგასტამ გამოუცხადა დედოფალს, რომ აწინდელ პალატებთან კაბინეტის არსებობა შეუძლებელია. საჭიროა დათხოვნილ იქმნან პალატები, რათა დედოფალს გაუადვილდეს საქმეების მოწოდება. საგასტამ გამოუცხადა კაბინეტის გადადგომა. საგასტა მოითხოვს კორტესებისაგან კრების შეჩერებას.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატა. სელლმა წარმოსთქვა სიტყვა-პროგრამა. მინისტრმა განაცხადა, რომ შინაური ბრძოლა, რომელიც ამდენი თვე გრძელდებოდა, ეხლა დასრულდა. უმთავრესი საქმე, სახელდობრ, ავსტრიასთან მორიგება, სასურველად დასრულდა. გარეშე პოლიტიკაში, მთავრობა, სამთა კავშირზედ დამყარებული, მშვიდობიან პოლიტიკას ადგია (გაცხარებული ტაშის ცემა). შეიარაღება, რასაკვირველია, სამწუხარო მოვლენაა, მაგრამ სამშობლოს ინტერესები მოითხოვენ ყოველთვის საომრად მზად ვიყოთ, დეე ყველამ საერთო ძალით იშრომონ სამშობლოს კეთილდღეობისათვისაო. (ყველა მხრიდგან ძლიერი ტაშის ცემა გაისმის). გორანსკიმ, კოშუტმა და დასის სხვა წინამძღოლთ სელლის ნდობა გამოუცხადეს. მაგნატთა პალატამ მოიწონა ასეთივე დეკლარაცია.

**რომი.** როგორც პეკინიდგან იუწყებიან, იტალიის ელჩმა მოითხოვა ჩინეთის მთავრობისაგან, იჯარით მიეცეს იტალიას სამძუნის ნავთსაყუდელი, რომელიც ნინგ პოს ქვემოდ შეკიანგის პროვინციაში მდებარეობს. „სტეფანის სააგენტო“ დასძენს, რომ იტალიის ორი გემი ჩინეთის ზღვებშიაო. მალე მიემატება სამი გემიცაო.

**მადრიდი.** ჰფიქრობენ, რომ სალიბერალო კაბინეტი შესდგება. კორტესებმა კრებები მოსპეს.

**პარიჟი.** სენატმა, ხანგრძლივის კამათის შემდეგ, უარჰყო ორი დამატება, რომელსაც აზრად პირველი მუხლის შეცვლა ჰქონდა, და შეიწყნარა შემდეგი მუხლები. ბოლოს სენატმა, 158 ხმის უმეტესობით 131 ხმის წინააღმდეგ, შეიწყნარა მთელი პროექტი. კრება დასრულდა.

### წერილი რედაქციის მიმართ

ჩემი და ჩემის მრევლის მაგიერ უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ახალ-სენაკის მეორე გილდიის ვაჭარს ბ-ნს ივანე მარკოზის ძეს ხუნწარიას, რომელმაც კეთილ ინება და ჩემდამო რწმუნებულს სოფ. ძონძირის წ-და ანდრიას ეკკლესიას შემოსწირა: 1) ბაირაღი, 20 მან. ღირებული, 2) ტრაპეზის წინ დასაგები ნოხი, 5 მან. ღირებული და 3) კრეტ-საბმელი, 5 მან. ღირებული.

ს. ძონძირის წ-და ანდრიას ეკკლესიის მღვდელი ალექსანდრე ხოფერია

# განცხადებანი


## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1898 წელს 14 დეკემბერს მომხდარ საბჭოს გარდაწყვეტილების თანხმად, 1899 წლის პირველ ექვსს თვეში ტფილისში შემოღებულ იქმნება ხელმეორე დაფასება უძრავ მამულებისა, რომლის მოქმედების დაწყება უნდა ჩაითვალოს 1899 წლის 1 იანვრიდგან. რაოდენობა ქალაქის სასარგებლოდ გადასახდელ დაფასების ხარჯისა, რომელიც გაწერილია ხელმეორედ დაფასების ცნობათა მიხედვით, მამულების პატრონებს ეუწყება ცალკე უწყებებით. ვიდრე ეს უწყებები დაურიგდებათ მამულების პატრონებს, დაფასების გარდასახადი უნდა შეიტანონ დაფასების ძველის სიის მიხედვით, ხოლო თუ ახალის დაფასებით ქალაქს მეტი გარდასახადი ერგება, ეს მომეტებული ფული შეტანილ უნდა იქმნეს 30 აპრილამდე, თუმცა მამულების პატრონთ დაგვიანებისათვის ჯარიმა არ გადაჰხდებათ; და თუ ახალის დაფასებით ნაკლები გარდასახადი ერგება, მაშინ მომეტებულად გარდახდილი ფული ჩაიწერება 1899 წლის მეორე ნახევრის გარდასახადში და როდესაც მთელი გარდასახადი შეივსება, მაშინ მომეტებულად შეტანილი ფული მამულის პატრონს დაუბრუნდება.

(3—6—3)

## ვკისრულობ

ტაქსაციას და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

რაც შეიძლება ჩქარა გასრულებ საქმეს სესხის გატანისას როგორც სამეურნეო, ისე სატყეო სარგებლობისათვის.

ალექსანდრე გრიგორის ძე ხნეკოვი. ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26, ტელეფონი № 567.

(20—3—12).

## მკერვალი

ევროპიულის ტანისამოსისა

## ივანე სვანიძე

გადავიდა ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ზუბალოვის სახლებში, სასულიერო სემინარიის პირდაპირ, № 4.

(6—16—3)

## თესლეულობათა დეპო

გ. გ. ლარჩენი

(არსებობს 1872 წლიდგან)

მადათოვის კუნძულზე, სახლი № 47.

## მიიღებულია ახალი თესლეულობა

საბოსტნე, სხვა-და-სხვა ყვავილების და ბალახეულობათა. პრეისკურანტი მსურველს უსასყიდლოთ გაეგზავნება. (10—22—3)


Дозволено цензурою, Тифлисъ 18 го Февраля 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე